

F85  
1914



№ 16

20 აპრილი 1914 წ.

საქართველო  
მინისტრის მიერ გამოცემა

წლიური ფასი

— 3 გან. —

ყოველ კვირაში საზოგადო-ეკონო-  
მიკური და სალიტერატურო ჟურნალი  
“კლდე” გენერალი გენერალი

ცალკე ნომერი 5 კუპ

რედაქცია ღია 9—3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დენებისა: თბილისი კლდე.

1. რთულ იხარჯება საერთო თანხა.—ა. ყიფშიძისა. 2. სომხეთი მეცნიერება.—  
\*\*—სა. 3. მიღითების მსხალი. (მოთხოვთა) თარგმ.—ეპ. გაბაშვილისა. 4. რუ-  
სის ფმ.—თ. მაგმაძისა. 5. პ. ე. ს. 6. მთწოდება. 7. უკანასკნელი ამბები. 8.  
ცირკულარები.—ნაცარასი. 9. 10. ტერიტორიის საკითხის გარშემო.—ივ. გომარ-  
თელისა. 11. ნარევი.

ს ა რ ჩ ა ზ ი:

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.


ყოველ კვირაში საზოგადო-ეკონომიკურ

და სალიტერატურო ჟურნალ

# “კლდე”-გენ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	.	.	.	.	.	3 გან.
	6 თვით.	:	:	:	:	:	2 გან.
	3 თვით.	:	:	:	:	:	1 გან.

ცალკე ნომერი ცველგან 5 კაპ.



## როგორ იხარჯება საერთო თანხა?

ყველასთვის ცხადია, რომ ვერავითარი სიკეთე ვერ მოიყოფებს ფეხს ჩვენს პროვინციებში თუ იგი დიდ ხანს დარჩა მოუწყობელი, მოუვლელი. პროვინციის ცხოვრების მოწყობა და მოვლა უპირველეს ყოვლისა უნდა დაიწყოს გზებისა და ხიდების გაკეთებით. თუ პროვინციას გზა არა აქვს, თუ ხევხუვებზე არ არის ხიდი და ბოგირი, ტყუილი იქნება მეტადინება კულტურის საძირკველის ჩაყრისა ასეთ მივარდნილ კუთხეში.

მოიგონეთ ჩვენი ხევსურეთი, სვანეთი და საერთოდ ჩვენი მთა და მისი ბეობანი. ხევსურეთი და სვანეთი გადაშენების გზაზე დგანან უგზო-უკვლებით; რა უნდა დასხესო ამ ქვეყნებში, როდესაც გარედან კაცი ვერ მისდგომია და შიგნიდან ადამიანს თავი ვერ გამოუყვითა. ვინ იცის რომელი სიმდიდრეა დამარხული სვანეთისა, ხევსურეთისა და საერთოდ მთის გულ-ლეიძლებული და ეს უფალივი სიმდიდრე უსარგებლოდ ჰგლია, ხოლო მის ბატონ-პატრონი უმწეოდ ილუზება.

თურქელ მდგომარეობას მაღამო უნდა დასდოს საერთო თანხამ. მცირეა იგი, მაგრამ შინეც არის და სწორედ ამ პირდაპირ დანიშნულებას უნდა მოხმარდეს და სხვას არაფერს; ჯერ ეს უპირველესი ვალი უნდა მოიხადოს საერთო თანხაც და შემდეგ, როცა იგი ცოტად თუ ბევრად დაქმაყოფილებული იქნება, სხვა საჭიროებასაც მივხედოთ.

სამწუხაროდ ამ თვალით არ უყურებს საჭეს ადგილობრივი აღმინისტრაცია. თითქოს სცდილობს იგი დააკმაყოფილოს ეს საჭირობა, მაგრამ მასი მეცადინეობა უნაყოფოდ რჩება, რადგან ღონიერს ნაწილს საერთო თანხისას სხვა მეორე და შესაბამის ხარისხთვის საჭებს ახმარებს.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მომავალ სამის წლის (1915—1917) საერთო ხარჯთ-აღრიცხვა. ნავარაუდევია ამ ხარჯთ აღრიცხვაში ისეთი ხარჯები, რომ მარტო გვიცებას და გაკვირვებას იწვევს. შინ როცა ბავშვი სტორის, ტაბლის გარედ გატანის ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჯერ თავი და თავი და შერჩე ცოლ-შვალი. მომავალ ხარჯთ-აღრიცხვაში მოუთავსებიათ ხარჯები პოლიტექნიკუმისათვის, კავკასიის შუბეუმისათვის და ასე გასინჯეთ ახლად გადმოსხელებულთა სოფლებში სამრევლო სკოლების მოსაწყო-

ბაღაც-კი. განა შესაწყინარებელობრთულობები სიუხვე, ხელგაშლილობა და დარიდმანულობა უკავშირდით იღრჩობა, წუმპესა და ტალახის მორევში ამოგანგლული ჩვენი სოფელი, კარ-ჩავეტილ, ქვეყანა ვერ უნახავს, შინაური ნაწარმოები გარედ ვერ გამოუტანია; გარედან შინ ვერაფერი შეუტანია და ასეთს დავრდომილს ადამიანს ეუბნებიან — ფული გაიღე ტფილისში პოლიტექნიკუმის იაგებად, მუზეუმის ასაშენებლად და სამრევლო სკოლები მოუწყე ახალშენებსო. რასაკვირველია, კარგია პოლიტექნიკუმი, კარგია მუზეუმიც, ისიც კარგია, რომ გაჭირვებულ მეზობელს შეეშველო, მაგრამ შველი ეს კარგია მაშინ, როცა ოჯახი სავსეა დოკლათით, როცა არამეტ თუ უპირველესი საჭიროება აქვს დაქმაყოფილებული პროვინციის, არამეტ უველა საჭიროებისთვის საჭირო თანხა უხვად მოიპოვება. თორემ აბა რასა მვივს, ტფილელნი და საზოგადოდ მდიდარნი სტკაბებოდნენ მუზეუმით და პოლიტექნიკუმით და ხევსურს, ან სვანს კი საცალფეხო გზაც არა ჰქონდეს, რომ უხილათოდ და უვნებლად გამოძვრეს თავის სომხოდან, რომ ხილვით მაინც იხალოს პოლიტექნიკუმის და მუზეუმის მილიონებად ლირებული შენობანი.

ასეთი უყურადღებობა პროვინციისა აღმადიმითი თუ აიხსნება, რომ პროვინციას პატრონი და გულშემატკიცარი არა ჰყავს. დიდი და პატარა ქალაქები სავსეა ნასწავლი ხალხით, იქვთ იგრედვე თვითმართველობანი. ქალაქის მოლვაწეთ აღვილად შეუძლიანთ უკარნახონ მთავრობის წარმომადგენელთ, რომ ამ საჭიროებათა დაქმაყოფილება ფრიად საჭიროა. დღევანდელი ჩვენი პროვინცია-კი ყოვლად უმწეოა. ჰყავდა არჩეული მამასახლისი და ესეც აღმინისტრაციამ მოსტაცია და პოლიციის დაბალ აგენტად გადააქცია და თან მისი შესანახი ხარჯიც სოფელის მოახვია კისრად.

ერთბას შეეძლო მფარველობა და პატრონობა გაეწია სოფლისათვის გაემთელებინა გატეხილი გულის ფიცარი, მაგრამ საოცნებოდ გახდა ჩვენის პროვინციისთვის ეს უხილავი ხილი. რაც უნდა გლაბა, ფრთა-მოტებილი და ფაფარ-შეკვეცილი ერთბა იყვეს, განა წარმოსადგენელია, რომ ერთს ბამ ინებოს და ერისაგან აკრეფილი წვითა და დავვით გული გაუბოძოს პოლიტექნიკუმს, მუზეუმ

და სამრევლო სკოლებს? ეს თითქმის წარმოუდგენელია. ჯერ თავის შინაურ საქმეს მოაწყობს, და შეძლებ, როდესაც საერთობო თანხა მოღონიერდება, გაძლიერდება, რატომ, მაშინ ორიოდე გროშს არ დაიშურებს მუზეუმისთვისაც. ჩვენი ერთ გულ-კეთილია იცის ხოლმე გლოხის გაკითხვა.

### ა. ყიფშიძე.

## სომხური მეცნიერება\*

როდესაც ბ-მა იშხანიანშა „მეცნიერული დაამტკიცა, რომ ქართველ თავადუაზნაურობის გაქრობა, როგორც რეაქციონურ კლასისა — აუცილებელია თვით ქართველებისათვის, იგი გადადის გლეხობაზედ და იმტკიცებს (?) რომ ქართველ გლეხობას ცოტა მიწები აქვს და ვერ გაჰყიდისო, ამიტომ სულ ტყუილია, როცა ქართველი პრესა სამშობლო მიწის დაკარგვისა ჩივისო — მიწა მშენებლიდ თავადუაზნაურობისა იკარგება და არა ხალხისათ. მკითხველი შეამჩნევს თუ რა ერთოვერობაა ამ დასკვნასა და სოციალ-დემოკრატების ნათევის შუა, უკანასკნელნიც ამტკიცებენ, რომ მიწა ხალხს კი არ ეკარგება, არამედ თავადუაზნაურობას და უვირილი ტერიტორიის დაკარგვაზე ცარიელი განვაში არისო. როგორც იშხანიანს, ისე ეს ჯეკებს ავიწყდებათ (?) სულ უბრალო საკუთარი მოსაზრებაც, რომ გლეხს ვერც შეუძლიან დაპარგოს მიწა, რადგან ან სულ არა აქვს, ან მეტად ცოტა. ვასაკურეველია, — ამ მიწის სიცოტავეს თვითონვე აღნიშნავენ და უკვირთ, რომ ჩვენ ვყვირით: არიქა, უკველეთ გლეხებო თავსა და შეიძინეთ ის მიწა, რომელიც გათავვარებულ თავადუაზნაურობისაგან უცხოთა ხელში გადადის. იშხანიანმა კარგად იცის, რომ ერთი უდიდესი ნაწილი მიწისა ეკუთვნის სწორედ ცისგან ათვალისწინებულ თავადუაზნაურობას და არა გლეხობას და როცა ჩვენ ვითხოვთ ამ მიწად-მფლობელობის ლიკვიდაციას იმათ ხელში, ვინც ამუშავებს ჩიწას — იშხანიანებს უკვირთ (?) რატომ სომხურ ბურეუაზის ხელში არ ვინდათ გადავიდეს ეს მიწა, როდესაც ბურეუაზია უფრო პროგრესიული არისო. ძნელია ითქვას, ქართველ ხალხისათვის რომელი უფრო მავნებელია „ეკონომიკური ექსპლუა-

ტაციის შერით: ეროვნული თავადუაზნაურობა, თუ უცხო ტობის ბურეუაზია, მაგრამ ურთიერთ ცხადია — ეროვნული ქართველი მუშა უმეტესად იჩაგრება და დაიჩაგრება სომხის მოვალეობის წერტილში. ამას ამტკიცებს არამცთუ ისტორია ბურეუაზის ვანკითარებისა, რომელიც მუდამ ეძებს უფრო იაფ მუშას უცხო ტომებში, არამედ თვალში საჩხერი მაგალითებიც, რომელიც ჩვენსავე კარმიდამოზე ხდება. ბაქოში მაგ., თითქმის ყველა წარმოებიდან განდევნილია სწორედ ქართველი მუშა, როგორც კულტურული უფრო მაღლა მდგარი, როგორც მოხველი მეტი საფასურისა და მის ადგილს იქცრს თათარი და სომხი, განუვითარებელი და ცოტათი კმაყოფილი. იქნება მიგეჭიბით ყურადღება იმ მოვლენისათვისაც, რომ თბილისში მაგალითად, ძვირად და შეხვდებით წინად ისე მრავლად მყოფ რაჭველ მუშებს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მათ აღვილს იქცრს უფრო ღარიბი, უფრო საკოდავი მუშა ქურთისა და სომხისა, რომელიც აბაზიდ იმდენ ბარეს გაზიდავს, რამდენსაც რაჭველი მანეთად არ წაიღებს — რადგან პირველის მოთხოვნილებანი, როგორც ფსიხიური, ისე ფიზიკური გაცილებით ნაკლებია. ასევეა დვორნიკობაში, მაგ. მთელ თბილისში ვერ იპოვნით ასიოდე დვორნიკსაც ქართველს, რადგან მათთვისაუტანელია ის ძალური პირობები, რომელშიც ივინი იმყოფებიან, და მათი ადგილი დაჭერილია ნახევარზედ ველურ, დაჩაგრულ ქურთებით და ნაწილად სომხებით. ავილოთ ის ახალი ნიმუშიც „პროგრესიული“ ბურეუაზისა, რომელიც შექმნა შენიაშემა აშურიანში: სულ უბრალო მაგალითი: მიწის გაზიდვა მეტეხელებმა იყისრეს ორ თუმნად, მაგრამ მანთაშევის იგენტებმა წევდლის 8 მანეთი, როცა მეტეხელები არ დასთანხმდნენ, გადმორევეს თსმალელი სომხები და მისცეს 16 მანეთი. ამ პატარა მაგალითიდანა სხანს მთელი პოლიტიკური და „პროგრესიული“ სულის კვეთება სომხურ ბურეუაზისა. ქართველ მუშას არ შეუძლიან იმ აუტანელ პირობებში ყოფნა, როგორშიაც შეუძლიან სომხებს, და ამას თუ ნაკიონალური მოსაზრებანიც დაურთეთ, ნათლად წარმოგვიდგება, თუ რაგვარი თრმაგი საფრთხე მოვალის. ჩვენ ვერ დავფიროვთ იმის, რომ ქართველი ბურეუაზიაც შეეციება უფრო იაფი და შეუგნებელი მუშა იშოვოს საექსპლორაციოდ, ვიდება მოიყვანოს სომხები, ქურთი, თათარი და სხვა მუშა, მაგრამ ამასთან სხვა საბრძოლველი იარაღია საჭირო. ჯერ ერთი ქართველი ბურეუაზია ამას ისე თამამად ვერ გაბეჭდავს და ისეთ სისასტიკით ვერ

\*) იხ. „გედდე“ № 14 და 15.

განახორციელებს, როგორც სომხისა და შეორეც, მისგან ამოგებული სიმდიდრე — ისევე ქართველი ერის ხელში დატენდება, შეგვე დატრიალდება და არ გაიზიდება, როგორც უკეთ მცარცველებისაგან, სხვა ხალხისათვის. დატრიალებული სიმდიდრე ყოველთვის სასარგებლოთ ხალხისათვისაც, ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობისათვისაც და სხ. ბ ნი იშხანიანი გვარეწმუნებს, რომ ბურჯუაზის პროგრესივობა იმაშია, რომ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, გზებს და სხ. კულტურულ თრგანიზაციებს აწესებსო, მაგრამ გულუბრყვილოდ (?) ხუჭავს თვეოლებს იმაზედ, რომ სომხის ბურჯუაზია არ დააწესებს ქართულ ბიბლიოთეკებს, სკოლებს და გზებს, არამედ ქართული მიწიდან ამოწურული სიმდიდრით გახსნის ბიბლიოთეკებს და სკოლებს როგორც სომხებში, ისე თვით საქართველოში და გზებსაც ისე წარყაჩის, რომ სომხურმა ტილლაძე უკეთ წ-ლევას ქართული მიწაწყილი. ამ მხრივ, ქართველ პროლეტარია: საც და მიწის მუშახაც დიდი საფრთხე მოელის, რაღაც იმას, როგორც უფრო კულტურულ ელემენტს, საშინელ კონკურენციას გაუწევს ფსიხოლოგიურად და ფიზიოლოგიურად უფრო დაბალ საფეხურზედ მდგარი მუშა სომხისა. და ამის შემდეგ პათეტიური მიმართვა იშხანიანებისა იქიჯვენ, რომ ისტორიულად ცნობილია ბურჯუაზისაგან აუვავება პროგრესისა მაღალ წოდების ნანგრევებზე — ქართულს სინამდვილეში ყალბი ვამოდი. (გვ. 51). და ეს სიყალბე თრამუჯდომესამე გვერდზე იქანდის აღწევს, რომ იშხანიანი ამბობს:

„Для настъ (?) не имѣетъ никакого значенія столь интересующій грузинъ вопросъ, кто же является покупателемъ помѣстій въ той или другой грузинской — провинціи армянинъ ли, русскій, или иностранецъ. Нашей исходной точкой является, повторяемъ, вопросъ развитія нашей отсталой страны“ და სხ.

ამის შემდეგ, რაც ჩვენ მოვიყვანეთ იშხანიანის წიგნიდან, ქართველმა მკოთხველმა უნდა ირწეულოს, რომ მათთვის (?) სულ ერთია ვინ დაეპატრონება ქართულ მიწა-წყილს — სომხები, რუსი თუ უცხოელი. მაგრამ ვსოდათ, ისე — ციცილი დებულებაც ვირწმუნოთ და მიეღოთ, რომ იშხანიანისათვის სულ ჭერთია ოპანეზიანუები დაიკვერენ ჩვენს მიწას, ივანოვები თუ ჯინ-პოლ-ჯვევები — ახლა აღარ იკითხავთ, ჩვენთვისაც სულ ერთია? თქვენ რა გენალვებათვინ გასწერავს ჩვენ სიმდიდრეს, კიდევაც გაგეხარდეთ იქნება, სხვებთან ერთად, ჩვენი

გაწა-მაწია, როგორც უფრო საადვილო, მაგრამ თხის პატრონს კი რას ეუბნებით? თქვენთვის, რასაკვირველია, სულ ერთია, მაგ. ვინ გასწეუდის თხმალეთის სიმულობელოს, ინგლისი, რუსეთი, თუ გერმანია, მაგრამ აბა ჰეითხეთ უკუმალებელი მოსწონთ ეს კარცევა გლეჯა. ან ესეც არ იყვეს, თუკი გულწრფელად თქვენთვის სულერთია, თუ რომელი ბურჯუაზია დაეპატრონება ჩვენს მიწა-წყილს — მოიღეთ მოწევლება, და ხელი იქით წილეთ როცა ჩვენ ჩვენს ხაკუთარ ბურჯუაზის უწევთ ან გარიშმა და მისგან უფრო ველით პროგრესის შემოტანას, ვიდრე სომხისა და სხვისაგან. და ნება ვვიბოძეთ არ დავიჯეროთ, რომ თქვენ გინდათ პროგრესი კავკასიის ყველა (ჩვ.) ეროვნებისა, როდესაც უმთავრესს ერს, ქართველობას, წინდაწინვე უწინასწარმეტყველებო სიკვდილს.

დრო და დრო იშხანიანი გამოეკამათება ტოლმე ქართულ პრესის და სხვათაშორის ერთ ადგილას (გვ. 54) ამბობს: „საინტერესოა ვიცოდეთ, როდეს აქეთია ქართველი ფეოდალური იდეოლოგები იჩნენ ასეთს სინაზეს და სიკეთეს თავის გლეხობისადმით? ან იქნება ეს საჭიროა იმისათვის რომ ხაზი გაუსვან თავის სიმულვარეს და ზიხლს კაპიტალისა და კაპიტალისტების მიმართ, რომ დაპოარონ ივი პოეტური სიტუაციით (ჯესტამ) ეფექტის გულისტყის? — ეს ამონაწერი პირდაპირი ნიმუშია მეცნიერული მსჯელობისა: თურმე უოფილია სადღაც „ფეოდალური იდეოლოგები“, ასეთი ზოოლოგიური ჯიში, რომელიც გლეხობას პოეტური ეფექტისათვის გაღერძნება. ჩვენ არ ვიცით, სად ამბოაჩინა ასეთი ტიპი, აღბად ისიც გერმანიაში, იუნკრების ოჯახში და არც აცივა არც აცხელა გადმოლალა საქართველოში... + და ვიშაგი, თაქ სказать, აფექტა“, როგორც სწერს იშხანიანი (66).

რომელი ფორმა მეურნეობისა და რომელი კლისის მეზობლობა უფრო სასურველია ქართველ გლეხობისათვის (ან საზოგადოთ გლეხობისათვის)? — კითხულობს იშხანიანი და მოელ მემკვიდრე თავს უძღვნის იმას, რომ დააწერილი (?) ბურჯუაზიული და კაპიტალისტური წირმოება სჯობია პირველ უოფილ მეურნეობისათ, თითქო ასეთს ანბანურ კეშმარიტებას ვინმე არ იზიარებდეს დღესა და თანაც ასეთ ანბანის მტკიცებაზედ ამყარებს თავის კამათს ქართველ ნაციონალისტებთან რომელნიც თურმე „სულელურად იმეორებენ უნაყოფი მორილურ ხდაპრებს გარდაცვალებულ ხალხოსნობისას (პარო-

ничества)“ 57. იმის შემდეგ, რაც იშხანიანი სოვლის უცხლა გაუმჯობესებას და სიკეთეს, რომელიც შეაქვს კაპიტალს გლეხის ცხოვრებაში, იგი სხვათა შორის უმატებს, რომ ფაბრიკები სწევენ მაღლა მიწის ფასსათ, თითქო ესეც დიდი სიკეთე იყოს იმ გლეხობისათვის, რომელზედაც ათიოდე გვერდის წინა სწერდა, რომ მიწა არა იქვს და შიმშილით კუჭი უხმებათ. კაპიტალის სიკეთის დასამტკიცებლიდ მოჰყავს სხვათა შორის რამდენიმე მაგალითიც (62) რუსეთიდან: დონის ლითონის და ქვანაშირის წარმოება და „ნოვოროსიის სახოვალოება“, რომელთაც აუჰვავს მხარე და ნაწილი დახარჯულ-ფულისა დარჩი მუშებს და ახლო მცხოვრებთათ. იშხანიანი, როგორც ნამდვილი იდეოლოგი ბურუუაზისა, სრულიად ხელს აფარებს იმ ნაწილს, რომელიც ექსპლუატატორებმა გაზიდეს თავისათვის და იმასაც, რომ მუშებმა მიიღეს მეორე ნაწილი, როგორც სამუშაო ქირა, ე. ი. როგორც კანონი მოითხოვს იმაზედ ნაკლები, რაც მათმა ჯანმა შეკვენა. შემდეგ ასეთი იდილიური მაგალითური მოჰყავს: ვიღაც უცხოელებს უკიდნიათ მიწა მემამულეთაგან და გადაუციათ გლეხებისათვის. ის თურმე რა ყოფილია კაპიტალისტური წარმოება და ამიტომ შეგვიშვით თქვენს პროცენტიებში, ჩვენც ავაყვავებთ მხარეს, ვიყიდით მიწას მემამულებისაგან და... გლეხებს, ქართველ გლეხებს დაურიგებთ, არა, ბ-ნო მეცნიერო? ასეთ მორალურ ზღაპრებს ხომ ხალხოსნებიც ვერ მოიგონებან. (63) მიწის ფასის აწევასთან, თურმე კაპიტალისტების წარმოება სახელმწიფო ფინანსებისაც აუმჯობესებს და ეს საკენკი დაყრილია მესამე პირთათვის, რასაკვირველია, რადგან პირველად ვხდათ სომებს, რომელიც სახელმწიფო ფინანსებისათვის ზრუნავდეს. მაგრამ იშხანიანი მაშინვე ეშურება სოქვას, რომ მათ (?) არ აინტერესებთ საკითხი კაპიტალისტების ეროვნების, არამედ განსაკუთრებით წარმოების და ტეხნიკის გაუმჯობესება (67)—გვჯრა, გვჯრა რასაკვირველია, მაგრამ რაღა ჩვენთვის, ქართველთათვის გიწუხთ გული და გინდათ გააუმჯობესოთ ჩვენი წარმოება, ჩვენი ცხოვრება. განა არა სჯობია ასეთი სიკეთე, საკუთარ ხალხს შესძინოთ და იქ ააყვავოთ კულტურა და პროგრესი საცა განსაკუთრებული სიღარიბე და სივაგლახე—სომხურ პროცენტიებში და ჩვენი პროგრესის სიქმე ჩვენვე მოგვანდოთ? ჩვენ ქართველები საშინელი უკულტურო ხალხი ვართ და ქარის არც შემოტანილი გვინდა, არც გატანილი; მით უფრო რომ სომხური ქარის გატანილი ბევრი გვინახავს და შე-

მოტანილი—იშხანიანკაც ვერ დაუსახვებია და სულ გარე-გარე უვლის უცხოელ კაპიტალის/და უცხო მხარეებს (иностранный капитал), რაული

მაგრამ უტიფრობა ბ-ნ იშხანდან რუსულების იღწევს მეათე თავში, საცა მოურიდებლად იმბობს რომ ყველა ერისაოვის (მაგ. ფრანგებსა, გერმანებსა და სხ.) უფრო სასურველია ადგილობრივი კაპიტალი, ვიდრე უცხოელი და ექედან პირდაპირი დასკვნა გამოჰყავს, რომ ქართველობა შეუგნებლობას იჩენს როცა უფრო მედგრად ებრძეის სომხურ (ე. ი. ადგილობრივ) კაპიტალს, ვიდრე უცხოელებისასათ. თუმცა ნაწილი (ხიმიკოს შენდელებების (1?) გამოკვლევით, უკანასკნელის 20%) უცხოეთში მიღისო, მაშინ როდესაც კავკასიური (?) კაპიტალი მთლიად აქვე ტრიალებსო, ქართულ პროცენტიებშივე— ის სწორედ ამის დამტკიცება იყო საკირო და ამაზედ კი არც ერთი მაგალითი არ მოჰყავს იშხანიანს და მარტო ასეთს გულუბრყელო სენტრენციას ეჭიდება: სულ ერთია, თუ გასაყიდი მამული სომებმა არ იყიდა—რუსი ან უცხოელი იყიდისო, თითქო ნაციონალისტების დავა იმაზედ იყვეს—არა, სომებმა კი არა, რუსებმა იყიდონ და არა იმაზედ, რომ ქართული მიწა ქართველებმავე უნდა შეიძინონ.



\*  
\*\*

## მილიონერის მსხალი

(ლეიქნ გრისის)

ქადაქ გრაფინიაქის მცხოვრები დადად ააღედვა მოუფოდნელმა დაბრუნებულ აშერივიდგან თავის სამშობლოში უმატვილის ჭავის ბარვინიანისა, რომელმაც თან გადმოცარა შიღიობად დარემული ქონება.

ქადაქის სადაუბოზე საჩქაროდ გაფრცელდს ეს ახალი აშადები და უკედახი ამას მოუთხოოდნენ ერთმანეთის...

მოგაქრე დასხდისება იმდენად იუვენ გატანებული ემაწევიდის მიდაონების პატრანად დაბრუნებული, რომ ჩვეულებრივი წუწუნი საზრდოს გამდარებაზედ, თითქმის გადააჭირდათ...

დაზდინდარი ფელიქს (ასე ერქვა ახდად დაბრუნებულ შიღიობაზე) წინად უგვევანი სოვლიდნები გამოჰყევა წევრად საზოგადოებისა და თავის თვალის შემაცხევებელ წევრად...

ეხდა კი, როდესაც ექვსი წლის გადაკრიფის შემდეგ, ეს საღასანა ფელიქსი დაბრუნდა და თან შილიონები მოიტანა, სუსეფლანი ერთპირად აქებდენ ამ, გათამა და ოდესად ნიჭირს და უფლები ადამიანის საუკეთესო თვისებით შემძულ უმაწვილ კაცს.

შილიონების მთწევებით ეხდა ფელიქსი არამც თუ შშენიერ გაშეცად გადაიქცა თვის მოქალაქეთა თვალში, არამედ იმას მიაწერდნენ დაიდე ჩიჭი პოეტის და მუსიკოსისაც, ყითმი და სიუმაწვილის დროს ეკვლესაგან აღიარებულის...

მიზეზი კი ამ შრავალიურის მითქმა-შოთქმის, რომელიც ექვსის წლის განმალუთისაში დახეტიალობდა მთელი ქვეშის გარშემო და ძლიერ დაიღლა დადარბასდღი, სრულიად არა ფიქრით იმაზედ, თუ რას ამბობენ, ან რა აზრისანი არან მოქალაქენი ამის ვინაობაზედ და ამის მაღალ ნიჭირებაზედ.

იმის დაიჭირა საუკეთესო თოახი ქალაქის საუკეთესო სასტუმროში და პირველისაც დღეს ისახედა თავისი მშობლების საფლავი.

ქალაქი გაფარდა სმა რომ უმაწვილ ბარგინიანს უნდა იყიდოს ქალაქის მთახლოებით მდებარე დიდი სასახლე, გაგეთოს ის და შიგ დასახლდესთ. თვით უმაწვილი შილიონერი კი ჯერ გადაწყვეტილ არაფერს აპირებდა. ღერა ქალაქში დაბრუნდება სრულებითაც არ იყო ამის სამედამო სამყოფელად გადაწყვეტილი, ეს შეთანად გრძნობდა ჯერ-ჯერობით სამშობლო მხარის დათვალიერებით სედის სიმშიადეს, გულის კმაროვილებას...

უნდადიეთ ეს მიეცა შოგონებათა მშვენიერებას, სიუმაწვილესთან განუერებად შეკვერცხულის.

სასტუმროს პატრონმა, ამ არანეულებრივი სტუმრის პატრიუსტებმა, თავის მარნადგან გამოიტანა რაღაც სინაქებო, მშვენიერის სერნეფების და სიტკბოების შეზი ძველის ძველი დგინდა...

ნედა-ნედა, სტაქნის სტაქნზე სწრუბიდა ფელიქსი ამ ტებით სახმელს და თვის შეუმნენებლად ფეხიზე და ამერიკელის მაგიტრად, როგორც თვისთავი მაჩნდა, ალაგორივი გულუბრევილ, ცოტათდენ ეშმაკობას არ მოგლებულ მცხვდრებლად გრძნობდა თავსა.

როდესაც, შეორე დღეს, მთახსენებს რომ ვიდაცას უნდა ამისი სახე, ფელიქსის მთინდომის უარის თქმა, არავისი სახე არ უნდოდა, მაგრამ მაშანებე გადიოქრა. შემოვიდა მაღალ-მაღალი, მთლად გაჭიდარებული მოხუცი, ფელიქსის მაშინევ იცნო მებაღე, რომლის შაჩქა სახლი და პატაწინაუკ ბაღი ამათ სადგურთან იყო მოკრული.

შებაღე ფელიქსის პატარაობიდგან იცნობდა. მთხუცის დახახვამ ფელიქსის მთაგონა თავისი სიუმაწვილის

თქოთს დროის, ბავშვერი სიცელქე, ათასი თავგადასავალი და მიღითხერ ფელიქსის გახსენს და დუქნის შეგირდი ფელიქსი და იმისი აინტი...

კარბინიანთან (ასე უძახდებოდა შესტენი) ათასი მთბოზება აერთებდა ფელიქსის. სწავლაშორის გახსენდა ის, რომ შებაღე აჩუქებდა ხოლმე უმაწვილის დამაზად გათლივს და ბირწვეტიან ჭოხებს, რომლებიც ფელიქსი გითომ და სახლებად ხმარდოდა; როგორ დაუკუნდა ხოლმე გულის წერთმას და ტირილს, როცა მანაურებთან გამწერალი იყო ხოლმე, როგორ უთავაზებდა ხოლმე საუკეთესო მსხალს თავის ბაღიდგან... — გამარჯობა, მახუცო! შეჰვირა ფელიქსმა. არავის სახე გამახარებდა ამგვარად, გეფიცები!

სიხარულის დიმილმა მთაცვა მთხუცებული შეიძლის სახე და გაემაღა იმას — ჩაღრმავებული ჭმებნებია.

— როდესაც შევიტუვე თქვენი დაბრენებას ბატონი ფელიქსი, მე სელახლად გავახალგაზრდი, უნასენა შესაბუმებდა და ფრთხილად დაუწეო შედა რაღაც გამოკრულ პარებს, რომელიდგანაც არიალია თრი მშვენიერი, გვერდები დაბრაწული მსხალი...

და ასსოდა რა მთხეცს, რომ ფელიქსის არაწეულებრივ უევარდა მსხალის ჭამა, მოწიწებით მიღწოდა ეხლანდელ მიღიონებს. — აკანგაღებულის ხძი შეკვითხა: იქვენ ხომ კიდევ გოგარო მსხალი, ბატონი ფელიქსი:

ფელიქსის დაბლად თავი დაუკრა, ეს ღრმად იყო აღელებული მთხუცებულის გულით მოძღვნილით და არ იცოდა რითი გადაეხსად სამაგირო. იმასთანდე გაფრცენა ერთი მსხალი, შეაქმ ამის მშვენიერი გემთ და სურნელოვნება. კმაროვალი და ბეჭინერი კარისტიანი, რომ ასიამოვნა თავის უმაწვილ შეგაბარს, მაღე წაფადა. ფელიქსის მაშანებე ჩასდო კონკერტში თრი ათასი ფრანგი (თითო მსხალი, ათასი ფრანგი) და საჩქაროდ გაუზარდა მთხუცებულ მცხვდრებლად გრძნობდა თავსა.

დადებული ფელიქსის ამბევი ელგასავით მოედა ქადაქს და კვდავ გამოიწვია ათასი მითქმა-მთოქმა და მდელებარება.

ზოგნი ჰეიცხავლენენ ფელიქსი, ეს ამიტარტაზნობით და ბაქითხით მთუვიდათ, ზოგნი კი მირიქით, უწანებენებს, ეს გულებთაღობის შედეგით.

გულში კი ბევრი შესატრადნენ ბებურ კარბუნიანს და ფიქრობდნენ, ნერა თუ როგორ მოგასერხოთ, რომ ჩვენო გამოვრინებლოთ რამ მიღიონებსაც.

მაკრამ უკედაზედ შეტან სტადილობდა და ოცნები

ბობდა ამაზედ ცხენე ის დაღალი, ერთი ვინმე თევდორე რაბანესი, კაცი განატეშედი თვეისის კრატენგობით.

— ეს თევდორე ჰერას გზით შერ ურიცილებოდა იმ აზრის, რომ შეიძლებ თუ მსხალში დარი ათასი ფრანგი აიღო.

— არი ათასი ფრანგი! არი ათასი ფრანგი თუ შსხალში! უფრო დღის ის გაშმაბურით.

ერთ მშენებელ დაგა ეს რიბანები იახლა შიდაონერს და დაღად გააკვირეს ეს უგანასწელი, გააკვირეს რადგან არავითარი გამირი და მეტადრობა არ შექმნას იმასთან არასთდეს.

თევდორემ მთახსენს დიდი ქებით სავსე სიტყვა თვეისი და მთედ ქალაქელია დაბარებით, განუცხადა სისრული და აღტაცება რომ ბ. ფელიქსი დაბრუნდა აა-კას დედა ქალაქი და დაუმატა:

— ჩემი გულა, ძეირთვასთ შეგთბარო, ადსავსეა თქმინდამი უწრებელების სიყვარულით და უზომი სისა-რელით, რომ უკანებდა დაბრუნებით სამშობლო და რომ ჩემი სიტყვები არ მიიღოთ ცარიელ სიტყვები, ნებას ფაქტები ჩემს თავს მ. გიმდველი პატარა სისხლვა-რიც! — მიიღეთ მრთა, ბატონო ფელიქს, გაიხედეთ ფენჯრიდგან! — ამა რას ხედავთ თქვენ იქ?

— მე ვხედავ ძეირთვას საჭდომ ბედაურს.

— ის თქვენ გაახელით, ბატონო ფელიქს!

— მე? გაკვირვებით შეუგო ფელიქსი, როგორ, მე სრულიადაც არა შაქს სურვილი ცხენის უიდვისა...

— მასატი, ბატონო, აწესებინების თევდორე — თქვენ ისე არ გააგეთ ჩემი წადილი! ამ ცხენს თქვენ გთე მქამიბო ჩემ შეგთბორობის ნიშნად.

ფელიქსი ჭერ ბაკვირებულები იქ ჩარჩოს ალერსიანი მოსალმებით, მაგრამ ახლა კი ნათლად მიხვდა იმის ხრისებს.

— მე სრულიად დირსი არა ვარ შაბბარის ძეირ-თვასის საჩქრისა, დაიწერ შიდაიასენმა, მაგრამ მაინც დიდის შადლით ვიღებ თქვენ მოძღვნილს. — მხოლოდ არ ვაცი რითი გადაგიმადოთ, დაუმატა იმან, — ბებერ კარბენიანს, რო მსხალში არი ათასი ფრანგი მივეც, განა ეს თქვენის აზრით, ჩემთ შეგთბორო, დადი სისუ-ლელე არ იქ ჩემის მხრით?

— სულაც არა, მიუგო გამოჩენილმა ძუნწმა ფე-დიქსის.

— მაშ თქვენის აზრით მართალი ვაუკა, რომ აი მსხალში, რომელიც აქ სტოდიუდ სდევს, ათასი ფრანგი მავეცი?

— სწორედ აგრე უნდა მოქცეულიურით, შიუგო ძუნწმა და თან თავის გამარა ანგარიშიდა: თუ ურთ

მსხალში ათასი მასცა, ჩემ ბედაურს რაღას გადაუშევებო-სო?

— დაღად გმადლობ თქვენი აზრი შე მაბეჭვი-ნებს, გადაუშევატო რომ, რადგან წერილი რა თქვენის მოწონებითაც ეს მსხალი დასტატულ უქონათ, თქვენ მოგიძლვნათ იგა თქვენის ძირიფასის საჩუქრის სამაგიროდ და ამასთანცემ განგიცხვადოთ ჩემი გულითადი მეგობრობა, ძვირფასთ რიანესო!

თევდორეს იმის შეტი ადარა დარჩენდა-რა, რო მიედო ათას ფრანგიანი მსხალი შიდაონერის ხედიდგან და ლარცხვენილი გასულიერ.

მთელი გრაფინიაკი იცინოდა ამ შემთხვევაზედ და მსხალად იგდებდა საწეად ჩახს თევდორეს, რომელსც მას აქეთ ღერძეა „მიღითხერის მსხალი“ და ამ სახელს ატარებდა იგი მთელ თავის სიცოცხლეში.

ეპ. გაბაშვილისა.

## რუსის ომი

მეფე სოლომონ დიდს ოდიშის მთავარმა, მისმა კოლის ძამ, თავის უწარჩინებულები დარბაისლები აახლა და მოახსენა:

— თქვენს სამეფოს, ჩემი სამთავროის საზღვრებზე, მოაწვა მთელი აფხაზეთის, ჯიქეთის და აღანის ლაშერებით ქელეშ ბერ შარვაშიდე და შთანთქმას გვიპირებს. დამიფარეთ, რაღიანაც მარტო ჩემი სამთავროს ძალა არ იქმარებს მტრის დასახველ რათო.

მეფემ დაუხანებლად გასცა ბძანება, რომ უკელის საღროშოების ჯარები საჩქაროდ ამხედრებულ-იყნენ და ს. ბანდას მოეყარათ თავი. ოდიშის მთავარს კი შეუთვალი, მტერს ჩემს მოსვლადმი, თუ შეიძლო, ნუ შეებმი; სანამ მე მოვიდოდე, ხმა დაპყარე, რომ მე თასმალებ ვუპირებ შესევას და შენს შეელის არ ვფიქრობო.

მეფემ მოსთხოვა გურიელსაც, რომ დასწრაფებით მოეკრიბა ჯარი და ბანდას მისულიყო შიდა-იმერეთის ლაშერთან შესაერთებლად. მთავარმა შეისრული ეს მოთხოვნილება. გურიის ჯარის ბაირალ-ტრად იყო ებალაურელი აზნაური ჭყონია, რომელიც რიონში ფონთ გასვლის დროს, შინ გაიპარა. ამ საქუიელისათვის გურიელმა ჩამოართვა მას მიწა-წყალი, ყმები და სიგელით მიუბორა გომახურელ

ჭყონის, რომელზედაც გადავიდა ბაირალტრობა ებალაურელის გაპარვისთანავე \*).

ბანძიდან მეფე თვით წარუძღვა ჯარს და ერთი ასმით მივიდა რუხის ციხემდი. მეფის ბაირალტრად იყო საჩინოელი როსტომ ლოროთვითანიძე \*\*) მეფის ასე მოულოდნელად მოვლინებამ ზარი დასცა სამტროდ მოსულებს და ქელეშ-ბეგმა გამართა მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ეს არ იამათ ოდიშის მთავრის კარის კაცებს. მათ ეშინოდათ, რომ ამ მორიგების შემდეგ მეფე მეტის-მეტად არ გაძლიერებულიყო. მეფესთან დაზავებული შარვაშიდე მათვის საშიში იქნებოდა. უცებ ქელეშ-ბეგის ბანაკიდან გავარდა ზარბაზანი და ყუმბარა დაეცა მეფის კარავის ახლო.

ოდიშარებმა მოახსენეს მეფეს, რომ აფხაზებმა დროის მოსაგებად გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, ეხლა მოასწრეს დამარავება და ლალატით მოინდომეს თქვენი მოკვლა, თორემ რად უნდა ესროლათ ზარბაზანი მოლაპარაკების გათავებამდიო!

აბხაზების თქმულებით ის ზარბაზანი დადიანის შესყიდულმა კაცმა გაასროლინათ. ასე იყო, თუ არ იყო, რაკი ოდიშართა ნათქვამი სიმართლეს ძალიან ჰგავდა, მეფე ერწმუნა მათ და ნება უბოძა სარდლებს დაეკრათ ბუკი და დაეწყოთ ომი.

ამ ომში სოლომონის ლაშქარში უველაზე უფრო თავი იჩინა სიმამაცითა და თავდარიგიანობით თ. გიორგი წულუკიძემ, ქელეშ ბეგის ჯარში კი— მისმავე ძმამ—ბექირ-ბეიმ. იმ დროინდელი პოეტი ბესიკი (გაბაშვილი) ბექირ-ბეის რუხის ომშე დაწერილს ლექსში:

„...მათგან მხოლოდ ერთსა ვაქებ:  
„წითლად მოსილს, გულად სპილოს,—  
„თავი სრულად გარდაეგო,  
„არეის პრიდებს ვინც ეცილოს;  
„მხედარია უებარი,  
„ხშირად იცვლის ისრის კილოს,  
„ჰკრის ვისაცა, მიწად დასცის,  
„შეამსგავსის სასიკვდილოს“ \*\*\*)...

ხრესილის ომში გამარჯვებული გაამაყებული იმერეთის ლაშქარი დიდი რიხით მოვიდა დაკავშირებულ მტრებზე იერიშით. გურულებს და ზემო იმერლებს შეხვდათ ჯიქ-ალანების გუნდთან შეტა-

\*) თავადის გრიგოლ დავითის ძის გერიელის ნაშაბი.

\*\*) თ-დას ასდან წელეუქაძისაგან გაგთიდი.

\*\*\*) მამია გურიელისაგან გაგრიდი.

კება; მთების ლალი შეილები მამაცურად იბრძოდნენ, ბოლოს მაინც იძულებულნი გახდნენ ეპრუნებინათ პირი და გაქცეულიყვნენ რაზმ-ორენტი და კვალ-შეშლით. თვით აბხაზების, ლაშქარის კი ურუელ ბურჯად იდგა და თავადმომადებულების უნდა გადა თავით და ქვემო-იმერლებს. ჯიქ-ალანთა გაქცევის შემდეგ მეფე მიიჭრა თავის მთავარ სარდალთან:

— ქახოსრო (წერეთელი) ეს რა ამბავია? ხონთქარის ლაშქრის გამწყვეტს აბხაზები უნდა გიჭირებდეს საქმეს?

— ბატონო, თქენი რისხვა მქონდეს, თუ ბექირ-ბეი შარვაშიდე ერთ სახონთქროს ლაშქრიდ არ ლირდეს! ის რომ არ იყოს, ომი დიდი ხანი მოგებული გვექნებოდა!

ამ სიტყვებს შემდეგ მეფემ დურბინდით მტრის ჯარში დაუწყო ძებნა ბექირ-ბეის და როგორც კი მოპკრა თვალი, მყისვე შეუტია.

იგივე ბესიკი ასე აგვიწერს ამ რინდულს ეპიზოდს:

„მეფემ იმ ურმას შეუტია, შეუქახა ხმათა ხათე! ჩენ კი შიშმა აგვიტანა... „საშენთა“ მიგაძახეთ! და ერამანეთს ჩავჩურჩებულეთ: „ვად თუ მისგან გაყიდა ხეთ!“ \*)

მეფემ და ბექირ-ბეიმ ერთმანეთს ხმალის მოსაქნევზე ჩაუჭენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მარა ერთმანეთისათვის არც ხმალი მოუქნევიათ, არც არა უვნიათ რა.

მერმე ეკითხათ სოლომონისა და ბექირ-ბეისათვის, თუ რატომ გაუშვეს ერთმანეთი უვნები. მეფეს ებრძანებინა:

— არასოდეს არ შემხვედრია ბექირ-ბეისთანა ვაუკაცი. იმ წუთს, როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭინა ისეთი ზაფთიანი იყო მისი ვაუკაცური გაბედულობა, რომ საუცხოვდ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოვება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვითიქრე, დღეს თუ სამშობლოს ჭირისუფალთ ხელს უშლის, ხვალ იმავ სამშობლოსივე მცველი გამოდგება. ამიტომაც შემბრილდა მისი სიყრმე, ვეღარ გავიმეტე გასაფუჭებლიდ! შემემართა, არა მგონია, უმარცხოდ გადავრჩენილიყავ.

ბექირ-ბეის ეთქვა:

— ხლმის შოსაქნევზე რომ მიუახლოყდი ჭუფეს, უფროს-უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხლმის პირველ მოქნევას... არც მან ინე-

\*) მამა გურაელისგანვე გაგრიდი.

ბა შემოტევება, და მეც ისე გამღალი თვალით, რომ აზრადაც არ მომსვლია პირიქით შემებედა \*).

მეფის შეტაკების დამნახავს იმერთა ლაშქარს აუჩქროლდა სისხლი და ერთხელ კიდევ მიიტანა აბხაზებზე იქრები. თოფმა ადგილი დაუთმო ხმალუსა და სატევარს (ხანჯალს). ოში ოში აღარა ჰგავდა: ბრძოლის ველი გადაიქა საყასბოდ, სადაც კაცი კაცს საქონელსავით ყელს ულადრავდა, კისერს და თავს სკრიდა, შიგნავდა. სისხლის დავარები შეკროვენ ენგურს და მისი ტალღები შელებეს წითლად...

გამაჯვება დარჩა მეფეს. აბხაზებმა მიატოვეს ბრძოლის ველი, მაგრამ ბეჭირ-ბეის სიმამაცემ და და სამხედრო საზრისში გადაარჩინა იგი აწიოკების; მისი უკან დახევა არ ჰგავდა გაქცევას, სამთავრო დროშა და მეტი წილი ზარბაზნებისა გადაარჩინა.

ნაომევს, ბრძოლის ველზედვე მეფეს ეახლენ კარავში მთავრები, სარდლები და ლაშქრები რიგ-რიგად, გამარჯვების შისალოცად და ნაშოვრის შისართმევად. მეფე გამობრძინდა კარვიდან და საფარ-ძელე დაბრძინდა. სახლო-უხუცესში დახია უკან მოსლოცად მოსულნი, დატოვა ფართო ადგილი მეფის ირგვლივ და დაიწყო ცერემონია მილოცვისა.

უცებ შეიქნა ჩოჩქოლი. წრე მხედართა გაირ-ლვა და გამოჩნდა როსტომ ნიჯარაძე. მას მოჰყავ-და მხარ-გაკრული ტყვე — მაღალი პრევ, მხარ-მკერდ განიერი, სადა იარაღ „ჩეკიპული“, აბხაზურად ყაბა-ლის მონაბური. მიუახლოვდა თუ არა მეფეს, როს-ტომში დაუჩიქა, მიულოცა გამარჯვება, გაუგორ-ფენთ ქვეშთ ტყვია — „თქვენ მტერს გულშიო!“ და-აყოლი და მიართვა მეფეს ტყვე.

— ერთია, მარა ოც სხვების დაჭერილ აბხაზად ღირს. შეხედეთ თქვენი მოწყალე თვალით, რა მოსუ-ლი ვაუკაცა! — როსტომ მფრთხელია, როსტომი სა-ბეროაო, — მოგახსენებდენ ჩემი მტერ-მოყვრები და აპა... მეც გავისვარე კაცის სისხლით ხელი! ძლივს გადამირჩა ბეჭირ-ბეი, ამ წუწქმა იპატივა — შეხედა თავის ტყვეს — მარა, არაფერია, თუ შევხვდი კიდევ სადმე... იმედია... უფრო გამოცდილად მო-ვიქცევი. დღეს პირველად ამოვიდე ხმალი ქარქა-შიდან. ნუ დამძრახავთ მოწყალეო ბატონი!..

— წინ წამოდეგ, შე ქეციანო! დაუბლვირა ტყვეს, რომელისაც უფრო ახლო ჩვება უნდოდა მე-

\*) გიორგი მიხეიდა. შარვაშიძისაგან გაცონილი.

ფისათვის, და თოფის კონდახი ჩაჭრია ფერდში. მხარ გაკრულშა მორთო ღრიალი:

— ვამე, დიდებულო მეფე! მუშავდა ამ შეჩვე-ნებულმა!.. ახობიდე ვარ ბატონის მუშავდა არელი!.. რა მიგივს აბხაზს... ვა... იი... მთხოვა ერთს წამს მეფესთან შიმუევი მხარ-გაკრული, ვითომ ტყვე ხა-რო... ულელ ხარს დამპირდა... რა ვიცოდი მე სა-ცოდავმა, თუ ტყლირზს ჩამიქცევდა... ოოვ!.. \*)

მეფემ შერისა როსტომი, იმიტომ კი არა, რომ ომში არ შესულია, არამედ მოტყველებისათვის.

იქვე არჩილ ბატონიშვილმა სოხოვა მეფეს რო-სტომის თავი.

— მაგის (როსტომის) სიფრთხელემ შეიძლება სხვაც გიორაცის, რაკი თავნი სიყვარული არ აკლ-დება, და ეს ქვეყნის არ მოუხდება. ექვს თვეში გვამამაცებ მაგას, თქენი რისხვა ნუ მექნებაო \*\*).

მეფემ შეისმინა არჩილის თხოვნი და, თუმცა როსტომს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე, მა-ანც გასუა ბრძანება ჩაერიცხათ იგი არჩილის საბა-ტონიშვილო თვეადათ. \*)

თ. მ. გმაძე.

## პ რ ე ს ა

გან. „ფიქრი“ 14 აპრილის ნომერში ეხება დ. ყიფიანის ღვაწლის და სრულიად აქარწყლებს მისს შეიშვნელობას. მას უკვირს და ვერ გაუგია:

... „რად აღიარებენ ჩვენი ნაციონალისტება დ. ყიფიანს დიდებულ ქართველიად? რად აყე-ნებენ მას მართლა უკვდავ ქართველთა გვერ-დით? რად აღიარებენ მას საქართველოს ერთ-ერთ დედა ბოძად?!... შეიძლება მიბრძანოთ, მან ექსარხოს პავლეს სიტყვა შეუბრუნა და მისთვის მოწამებრივი ვეირგვინი დაიმსახურაო. მაგრამ დღეს ეს არც ისე დიდი საქმეა“...

ყოვლად შეუძლებელია წარსული დროის მო-ლვაწეთა, დიდ ბუნებოვან იდამიანთა შეფასებაში ამნაირი მეთოდი. ყოვლად უვარვისი და ცალმხრივი, კიდევ მეტი, ყოვლად უაზრო იქნება მთელი შრო-მა თუნდ გენიოსი მეისტორიესი, თუ იგი წარსულ დროთ და იმ დროში მომქმედ პირთ თავისი თანა-

\*) თავადი იასონ წელეუქიძისაგან გაცონილი.

\*\*) ია. უაფიანისაგან გაცონილი.

\*) ქვედი საქართველო ტომი II.

მეღროვე თვალსაზრისით გაშინჯვას და თანამედროვე სახომით გაზომის ამ მოღვაწის მოქმედებას, მაშინ იძულებული ვიქნებით მთელი ისტორია და მაში ბევრთა-ბევრი სასიქადულო და სამაგალითო მოვლენანი და მოღვაწეობა სანაგვეში მივხვეტოთ. ნუ თუ „ფიქრი“ ვერ ატყობს რა შეცდომას, მეცნიერულს, მეთოდოლოგიურ შეცდომას აკეთებს, როდესაც ისტორიული მიმოხილვის დროს იგი საზერავ ჰუნკრიალ თანამედროვე გონებრივ განვითარებისა და პოლიტიკურ ილჩრდის ნიაზაგს ირჩევს და ისტორიას გვაწვდის?! ამ მეთოდით რომ ვიხელ მძღვანელოთ, რამდენი მეცნიერი, რამდენი ფილოსოფოსი ჩაითვლება ბალლად! მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიული, რომ ავრე მოიქცნენ, ხომ მთელი ძველი ფილოსოფია სასაკილოდ აგდებული უნდა იქნეს! მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, რადგანც ეს წირსული საძირკველია აშშული და მომავრისა. ადამიანის აზროვნების მთელი ეს გზა რომ არ გამოვლო, მაშინ ხომ კანტიც ვერ გაჩნდებოდა და ხომ ცხადია, რომ კრიტიკიზმი მეტაფიზიკაზე აღრე ვერ შემუშამდებოდა! თუ მიუდგომელი ცნობა უნდოდა „ფიქრს“ დიმიტრის შესახებ მოეწოდებინა, სამართლიანობასაც უურადღება რომ არ მივაქციოთ, ის მოვალეობა მაინც უნდა აესრულებინათ, რასაც თანამედროვე მეცნიერება გვაკისრებს და მხოლოდ თუნდაც „მოსოციალისტებიაციონალისტების“ გამოჯავრებით, ასეთ უკადრისს საქმეს არ უნდა კადრულობდნენ.

... „ვის ეტრფის, ვის შესტირის, ვინ მიაჩნია იდეალიად სამოციანი წლების ლიტერატურას? ძველი ფეოდალური საქართველო“ - თ ვერც ამაში დავეთანხმებით გაზ. „ფიქრს“. ამ აზრს მჭერმეტყველურად არღვევს ილიას „გლოხის ნაამბობი“, „კაյო ყაჩაღი“, „ოთარიანთ ქვრივი“; აკაკის პოეზია, რაფიელის მოღვაწეობის მეორე ნახევარი, ალ. ყაზბეგი და სხ. და სხ. ჯველაფერი შეიძლება ვსოდვათ, მაგრამ ჩვენს „ლიტერატურაში“ ე. ი. წყობილ-სიტყვაობაში რეტროგრადობას, კონსერვატიზმს ადგილი არა ჰქონია, მით უმეტეს მესამოცე წლებიდან. სასურველია მოწინააღმდეგებორ კამათში მეტი სიმშეიდე, თორებ გულისთქმაში გატაცება იცის და სამართლიანობას გადაელახავთ.

## მოწვდება

როგორც გაზეთებიდან სჩანს მთელი ჩვენი საზოგადოება გულ-მხურვალედ ეკიდება ილიას საპ-

ლის გამოსყიდვის აზრს თბილისში და მაღლ სამყოფი ფულიც შეგროვდება. მაგრამ უმეტეს უურადლების ღირსია ის სახლიც ს. ყვარელში, საჭარ დაიბადა ჩვენი დიდებული პოეტი, იქ ჩანაწერები სადაც იმან პირველიდ გაახილა თვალი ჭაბუტეშვილი და იმის სიყვარულიც სუვერილია არ მოჰშორებია მის გულსა. ს. ყვარელი ჩვენთვის ქართველებისთვის სათაყვანებელი უნდა იყოს, როგორადც მუსულმანთათვის მექა, და გერმანელთათვის გიორგეს სამშობლო - გეიმარი. ის სახლი სიდაც დაიბადა ილია, ჩვენ უნდა გავხადოთ ტაძრად, რომ ყველა ქართველი მოდიოდეს აქ თაყვანის საცემლად. ეხლაკი იქ არის მოთავსებული უსახსრობის გამო, მალიან ლარიბი ბიბლიოთეკი, რომელიც ინახება მცირე რიცხოვან ინტელიგენციის საწევრო გადასახადათ. ახალმა კლუბმა შემოსწირა 400 გ. შენობის შესაკეთებლად, მაგრამ ფული არ იკატებს შენობისათვის. ეზო ხომ ისეთ გაშარავებული რომ ილიას საკუთარი ხელით დარგული ხეხილი სულ გაფუჭებულა. კარგი იქნებოდა ყვარლის სახლ-კარიც ისე შეეკეთებინათ, როგორც შემფერის დიდუბულ ქართველის დიდებულს აკვანს.

ს. ყვარელი.

ე. ჭავჭავაძე.

## უკანასკნელი ამბები

საადგილ-მამულო კომისიის სარეორგანიზაციო პროექტი რომელიც ჩვენი უურნალის წინანობებიში იყო დამეტებილი, დეპუტატთა საკრებულომ მრავალ ქართველ მოღვაწეთა თანადასწრებით, 14 აპრილის სხდომაზე ერთხმად მიიღო და დაადგინა, ზოგიერთი სარედაქციო ცელილებით, შეიტანოს მომავალ საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებაზე დასამტკიცებლად. დარწმუნებულნი ვართ, რომ საგუბერნიო კრებაც მიიღებს ამ პროექტს და მკვიდრ საძირკველს ჩაუყრის დიდ საქმეს. და ამით გზას მისცემს ჩვენს მომუშავე ინტელიგენტთა ძალებს ყოველმხრივ მიეშველონ რეალურად და პრაქტიკულად ჩვენს საბედისწერო აფრარულ საკითხს.

პრიკაზის გალი. მეტად უცნაური ამბები მოგვდის კახეთიდან. როგორც მკითხველს ეცოდის ნება, კახეთის რკინის გზის ლიანდაგის გაჭრის დროს

ბევრ კახელ მესაკუთრე გლეხს და თავიდას მრავალი მამული ჩამოაჭრეს, რომელიც დაფასებული იყო და რომელის მაგიერ მესაკუთრენი გზისაგან ფულს იღებდნენ. ზოგნი კი თანახმანი იყვნენ ფულის მაგიერ კახეთის რკ. გზის აქციები აეღოთ, ეხლა, როგორც გვატყობინებენ ამ ჩამონაჭრების ყოფილ მემამულეთა შორის დიდი აურ-ზაურია. მთავრობის სახელმწიფო ბანკმა გასცა ბრძანება რომ ხსენებულ მემამულეებისათვის ფულის ჩაბარების დროს დაჭრილი იყოს ძველად-ძველი სახელმწიფო პრივაზის ვალი. თუ ეს ბრძანება შესრულებული იქნება, მაშინ ბევრი მემამულე ვერც ერთს შალრს ვერ მიიღებს. სწორედ საკვირველია რაღა ამ გაჭირვებულ ხალხს მიადგა სახელმწიფო ბანკი (მეტადრე როდესაც ბევრს კახელს უკანასკნელი ვენახები ჩამოართვეს) და ნეტა რა უფლეუბით? კახეთის რკინის გზას აშენებს კერძო საზოგადოება, რომელსაც ადგილობრივმა მკვიდრმა ხალხმა, სამადლობელოდ, კეთილ ინება და მეტად იაუფად დაუთმო მას თავისი მამულები, როგორც კერძო საზოგადოებას. ამრიგად ეს იყო კერძო მორიგება კერძო საზოგადოებათა და კერძო პირთა შორის და რა შეაშია აქ სახელმწიფო პრივაზის ვალის გადახდა; მით უფრო რომ ეს აქტი დიდი უსამართლობაც იქნებოდა იმ მხრივ, რომ დაწვებოდა მარტო იმათ, ვისიც მამულები ძალდატანებით იყიდება. პრივაზის ვალის გადახდას თავისი კანონიერი გზა იქვს და თავისი დროც. ამიტომ სახელმწიფო ბანკის განკარგულება ჩვენ მოუხერხებლად და უსამართლოდაც მიგვაჩნია. იმედია, დეპუტატთა საკრებულო საჭირო ჰომებს არ დაიყვნებს, და ამ საქმეს ხსენებულ მემამულეთა სასარგებლოდ მოაგვარებს.

**საერობო ავტომობილები.** უკანასკნელ ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ადგილობრივ მმართველობას შეუტანია წინადადება, რომ ამიერ-კავკასიის საერობო მართველობამ შეიძინოს ავტომობილები: ერთი დიდი მთავარი ავტომობილი ცენტრალურ მართველობისათვის (კრასვიტ) და თითო-თითო უკელა გუბერნიებაზე (გუბერნსკია ავტომობილი). ეს წინადადება მიუღიათ.

კეთილი განზრახვაა, რასაკვირველია, მაგრამ მაინც რა გზით აპირობენ სეირნობის ამ ავტომობილებით „მთავრობის ერობის“ ჩინოვნიები? მაგალითად ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეს

უკელა ეს ავტომობილები მარტო მულანში, სოფ. ვორონცოვის და სამხედრო გზით ქავკავში ივლიან! სხვაგან ჩვენ არსად არ გვეგულება სავტომობილები... მაგრამ იქნავთ ავტომობილებმა მარტლაც გზები გაგვიკეთონ? ხომ ნათქვამია—ურემი რომ გადაბრუნდება—გზა მაშინ გამოჩედებო... ერთი-ორი ავტომობილი ჩვენს გზაზე რომ გადაბრუნდეს, უსათუოდ კუუს ასწავლის ჩინოვნიერ ერობას... რომ ჯერ ნამდვილი ერობაა საჭიროა, მერმე გზების გაყვანა-გაკეთება და მერმე ავტომობილების სახალხო—საეროო ხარჯზედ ყიდვა.

**თათბირი მარტყოფში.** დღეს შთავრდება სამეურნეო თათბირი სოფ. მარტყოფში (თბილისის მაზრა), რომელიც მოწყობილი იყო ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით. მეტად მნიშვნელოვანია ამ თათბირების მუდმივი მოწყობა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში და ჩვენი სამეურნეო საზოგადოებაც ამ მხარეს, როგორც სჩანს, დიდ ყურადღებას იქცევს. მაგრამ, ვგონებთ, ამაში სათათბირო რაიონების არჩევასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რომ საზოგადოების მუშაობამ რაც შეიძლება მეტი მკვიდრი სოფლელი ხალხი მიიჩინოს და დაინტერესოს. შარშან თათბირი მოწყობილი იყო სოფ. საგარეჯოში. ამ წელს იქვე ახლო მდებარე სოფ. მარტყოფში. ეს, ვგონებთ შეცდომაა, რადგანაც მაგილიაად მდიდარი ქართლი ამ მხრივ ჯერ სრულიად მოუვლელია; ამ თათბირებს კი უკანასკნელი მეტად საჭიროობს. ამიტომ შემდეგი თათბირი უსათუოდ ქართლში უნდა იყოს მოწყობილი და მასთან ორგვარად: ერთი ზემო ქართლში, მეორე—ქვემოში.

**სამელიორაციო ბიუროს,** რომელიც ამზადებს მასალებს მომავალ სამელიორაციო კრებისათვის თბილისში, გამოუკია. კიდეც თავისი საინტერესო ბიურეტენები. საჭიროა ეს ბიურეტენები ქუთაისშიც მიწოდონ, სადაც სამელიორაციო საქმეს დიდი მომავალი მოელის და რისოვისაც დასავლეთ საქართველოს მოღვაწენი შესაფერისად უნდა შეემზადნენ...

**ტირიფონი.** გამწვავებულ მდგომარეობის გამო, ამებამად ზოგიერთი ზომებია მიღებული. იკრიფება დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობანი ტირიფონის შცხოვრებთა და საზოგადოთ ქართლის ინტე-

რესთა დასაცავად. იმედია, ტირიფონის მდგომარეობის და მნიშვნელობის ახლად გაცნობა თვალებს აუხილავს, როგორც ბევრს ჩვენს უიმედო სკაპტიკოს მოღვაწეებს, ისე მთავრობასაც. პირველთ აამოქმედებს, შეორეთ უკან წააღებინებს თავის ქვეყნის მეურნეობისათვის ყოვლად მავნე განკარგულებას. სხვათაშორის ირკვევა, რომ ტირიფონით დაინტერესებულია მრავალი სხვა, ამ ველის გარშემორტყმული სოფელი, რომელიც ტირიფონით იკვებება და სცხოვრობს. ამასთან ისიც მართლდება, რომ ტირიფონის მომავალით დაინტერესებულია არა მარტო მთელი ქართლი, რომელსაც ეშველება ხოლმე მოუსავლობის დროს, არამედ სხვა რაიონებსაც. ქ. გორის და ახლ გორის ვაჭრები მოწმობენ, რომ ტირიფონის პური, ქერი, თივა, ბზე და სხვა მუდმივ მიაქვთ ყარსის ოლქში, ჯავახეთში, ბათოშის მხარეს და სხ.. ერთი სიტყვით, ტირიფონის 17,000 დესეტინის ამოგლეჯა დასავლეთ ამიერკავკასიის მეურნეობისთვის ფრიად საზარალოა და შეუწყნარებელი.

**მადლობის ადრესი.** ქართველ ქალთა იმხანაგობის კრაუკერვის სკოლის გამგეობამ 14 აპრილს დაადგინა გაუგზავნოს თ-დ გიორგი ოთარის ძე ამილახვარს მადლობის ადრესი იმის გამო, რომ არ გამოსწირა მაცული გლეხ-კაცობას და ლონისძიება მისცა დარჩენილიყვნენ თავის მამა-პაპათა სამკვიდრებელზე.

„სახ. გაზ.“

**კ. ბალმონტი და ზურნა.** როდესაც კ. ბალმონტი ქართულ თეატრში შედიოდა, უცბად ისეთი ზურნის გრიილ-ლრიალი გაისმა, რომ ახლო მდგომი ხალხი თავზარდაცემულნი ეცნენ ერთი-ერთსან ნეთს კითხვით; რა ამბავია, რა მოხდა? კ. ბალმონტს ქართველობა ზეიმით უხვდებათ.. წარმოიდგინეთ რას იგრძნობდა საბრალო რუსის პოეტი, ამისთანა ზეიმით დახვეჯრილი?!. ტყუილად კი არ თხუნჯობდა ერთი ხუმარა... კულუარებში კ. ბალმონტმა გვითხრაო: მრავალი ქვეყნები მოვიარე, ბევრი ხალხი ვნახე მაგრამ უველაზედ ძალიან მომეწონა და მომხიბლა მათ შორის ავსტრიალიელ მორიებმა, აფრიკის გოტენტოტებმა და... ქართველებმა... (sic!)

მოდით და ჩვენს ევროპიულ ზეიმებს ზურნა-დუდუკი მოვაშოროთ ხოლმე... თორებ ამწუთს მართლა გოტენტოტებს ვეგვანებით ცოტათი!..

—  
გამოვიდა და იყიდება ნებესიოს ემცენის თხზულება: „ბუნებისათვის კაცისა“, ბერძნულიდგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მეტ ქართული ტაქსტი შეისწივლა და გამრჩეული დამზადა ს. რ. გორგაძემ. წიგნს თავში დართული აქვს გამოკვლევა წინასიტუაციის სახით, ბოლოში ლექსიკონი და ხელნაწერის უმთავრეს სხოლიოთა საძიებელი. წიგნი გამოსცა საეკლესიო მუსეუმში და ლირს ორი მანეთი.

## ცირკულიარები

„სთვდის მასწავლებელთ  
უკრძალებათ კოოპერაციაში  
მანაწილეობის შიდება“.

(გაზეაუზიდან)

რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია. შეიძლება ერთ დღეს იუსტიციის მინისტრმა იფიქროს, ნაგ., რომ ურემი პოლიტიკურ მშეიდობიანობას არღვევსო და ბრძანება გასცეს: მეურმეებს ეკრძალებათ ურემში ხარების შებმა.

შეიძლება ფინანსთა მინისტრს აზრიდ მოუვიდეს რომ მზე სრსხლს აცხოველებს და ამით მშეიდობიანობა საფრთხეშია და გამოაცხადოს: ქალაქებსა და სოფლებს იეკირძალოთ მზით სარგებლობა, რისთვისაც სასტიკად უნდა იყვეს დაცული პრინციპი სახლიდან გამოუსვლელობისა.

ისიც შეიძლება, რომ მიწად-მოქმედების მინისტრს მოესაზროს, რომ რკინის გზა თავისი ბოლით აფუჭებს ბალის და რუსეთში გამოცხადდეს: დღიდან რკინის გზები — აკრძალულია. მკითხველს იქნება გაუკვირდეს, რაღა ასეთ აბსურდულ ბრძანებას გამოსცემენ, მაგრამ ეს გასაკვირველიც არ არის — რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია, თუ კი შესაძლებელია, რომ განათლების მინისტრს საღმე რესტორანში, პაპიროზის წევის დროს აზრიდ მოუვიდეს რომ კოოპერაცია სახელმწიფოს ძირს უთხრის და ცირკულიარი მზად არის: „აცხოველოთ სახალხო მასწავლებლებს კოოპერაციაში მონაწილეობის მიღება“.

ნერც ის გაგიკვირდებათ, თუ ერთ შშვენიერ დღეს სამხედრო მინისტრი იტყვის: უნდა თყვაროს მოსკოვის გუბერნია. გადაითხაროს მოსკოვი და მცხოვრებნი სადმე ვოლოგოცეც გადასახლდნენ,

რაღაც მოსკოვის გუბერნიის ტერიტორია მშენებელ ადგილს შეადგენს პოლიგონისათვის.

ნუ გაგიკვირდებათ, რაღაც რუსეთი ისეთი ქვეყანაა, საცა მინისტრებს უველავერი შეუძლიანთ, თუნდა ამაში არც ლოლიკა იყვნეს, თუნდაც მთელი რუსეთი აყიყანდეს, თუნდაც მთელი ცხოვრება შეჩერდეს—რუსეთი რუსებისა ხომ არ არის, ან ქვეშევრდომებისა, რუსეთი მინისტრებისაა: „მია სელდა, მია კრასკა, ხოუ ვიკრაშუ, ხოუ იო-ვჩეუ!“ ნუ ჰეთხავთ თუ რადა მღერის სელიოდეა, რადვან ეს „უზენაეს სახელმწიფოებრივს სიბრძნეს“, შეადგენს, ეს იმისათვის მღერის, რომ თქვენ ვერ მიხვდეთ სელიოდეის ენაობას.

და აი ამღერებენ საწყილ სელიოდეკებს რუსეთის ტინისტრები... უველა თავის სელიოდეკებს ამღერებს და მეორეს არა ჰეთხავს. მე შენ გითხრა ისეთი პრემიერი არის, რომელიც უნდა აერთიანებდეს კონცერტს და ერთ კილომეტრ მაინც ამღერებდეს. პირიქით, რაც მეტი სხვა და სხვაობაა სელიოდეკების სიმღერაში, მით უფრო აღვილია მშვიდობიანი თევზის ჭერა... ამღერებულ წყალში.

ამბობენ, რომ განათლების მინისტრი გამოდის სამსახურიდანათ, მაგრამ ამას უველა მინისტრზე ამბობენ ხოლმე, რაღაც მინისტრი არის იმისათვის მინისტრი, რომ... გამოვიდეს ხოლმე და სელიოდეკა ამღეროს, შეღებოს თავის გუნებაზედ და ჩამოჰქიდოს... აბა გამოიცანით რა არისო. რასაკვირველია, ვერავინ გამოიცნობს და დარჩა შინისტრი გამარჯვებული, დარჩა თავის ალაგას, თუნდა მთელი რუსეთის კომპრაյდ წყალმა წაიღოს და სახალხო მასწავლებელი იღიოთად დარჩეს.

როცა სელიოდეკებს ამღერებენ ეს მიუწდომელი „სახელმწიფო მოსაზრების“ გრალია.

ნაცარა.

## ქ. დ. ბალმოჩი თბილისში

ამ უამიდ თბილისში იშკოთება რუსეთის გამოსხინილი მწერალი კ. დ. ბალმონტი. 12 აპრილს რამდენიმე ქართულმა დაწესებულებამ მცოსნის საპატიოცემოდ სალაშო გამართა ქართულ თეატრში. თეატრში საზოგადოება შესიკითა და უვავილებით შეეგება და ლუუგად ტაშით მიაცილეს. აკაკი

მცოსნის მიმართა პატარა, ფრიად საფულისხმო სიტყვით და აღნიშნა, თუ როგორ უცხადოს ხაჭა-თველოს ის რუსეთი, რომელიც სხვებთან ურთიერთობას ძალაშე ამყარებს და ავტორიზებს რესტროდ მე-ორე შხრით, ახალი რუსეთი სიყვარულითა და უურადღებით ეკიდება საჭართველოს. შემდეგ ა. ყან-ჩელმა მიმართა მოკლე სიტყვით. დოდაშვილმა წაი-კითხა მოხსენება ქართულ პოეზიის შესახებ მეცამეტე საუკუნემდე. ბალმონტიც მიესალმა საზოგადოებას სცენიდან გრძნობიერი სიტყვით. „როდესაც კუ-ბეზე ამოვლიოდი უვავილები გადმომაყარეს და ჩემი გულიც აყვავილდა, მაგრამ აქ მოხვლიამდე ერთი უვავილოც აყვავდა, ჩემს გულში და მსურს იგი გა-გაცნოთ, სოჭვა მცოსნა და წაიკითხა პატარა ლექსი, რომელიც მიუძღვნა შოთა რუსთაველის ქნარს, თავის სიტყვაში კი აღნიშნა აკაკის საყვედური და განაცხადა: რუსეთის საუკეთესო შვილნი უველთვის ილტიაცებით ეგებებოდნენ მშენიერს სა-ქართველოს. რუსეთის გენიოსმა პუშკინმა და მეაკ-რი-მშენიერებით ილსავს ლერმონტოვმაც თავისი საუკეთესო გრძნობანი შესთავაზეს საჭართველოს. რასაკვარველია, მე ჩემს თავს შთა არ ვადრი, მაგ-რამ, როდესაც ოცდაორი წლისამ პირველიდ ვიხი-ლე ეს ტურფა ქვეყანა მისი სიყვარული მეც გულ-ში ჩამივარდა მე მოვიარე მაღალ პალმების ქვეყანა, ვნახე დიდებული ეგვიპტე, ვიხილე პირველ ყოფი-ლი სიმშენიერე შავკანიანთა ქვეყნებისა, ვნახე სა-მთა, მაგრამ ჩემი ოცნება,— კიდევ მენახა თქვენი კეკუპარი ქვეყანა, გულში არ ჩამკდომიათ.

დასასრულ ჭ. ფალიაშვილის ლოტბარობით ფილმითმონიულ საზოგადოებრი შეგირდებმა შეა-რულებ: რამდენიმე სიმღერა. გ. დიასამიძემ, ა. ყან-ჩელმა, ზავრიევმა, მსახიობ შალიკაშვილმა და ერის-თავმა წაიკითხეს ქართულიდ და რუსულიდ თეითონ ბალმონტისა და ქართველ მცოსნთა ლექსები.

შემდეგ საზოგადოებამ ბალმონტი ვახშამზე მი-იპატიე და ხუთს საათზე ნასიამოვნები მცოსნი გი-ნამდის მიაკილა. ბალმონტი აპირებს რამდენიმე ხა-ნი აქ დარჩენას. რომ ქართული ენა შეისწავლოს და „ვეფხის ტყაოსანი“ გადათარგმნოს.

## ტერიტორიის სა- კითხის გარშემო

ნათქვამია, ვინც ცოტას ლაპარაკობს ის ბევრს აკეთებს.

ამ თქმულების სასწორზე რომ ავსტრიანო ჩეკ

ნი საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენისთანა უსაქ-  
მური ხალხი მეორე აღარ აღმოჩნდება.

რატომ?

იმიტომ, რომ ნამეტანი ბევრი ლაპარაკი გვიყ-  
ვარს; მთელი ჩვენი შექმედება დაუსრულებელი  
ლაპარაკია. ლაპარაკმა საქმე გადაყლაპა და საითაც  
უნდა მიიხედ-მოიხედოთ ჩვენში, მარტო ძველი ენა-  
ლა სჩანს.

უველა ლაპარაკის უინით ვართ გატაცებული:  
საქმე სხვამ აკეთოსო:

საქმის მკეთებელი კი არსაც არის.

მაგრამ არა,—არიან, როგორ არ არიან!..  
საქმესაც აკეთებენ!

აი ჩვენი წარჩინებული წოდება! ჯანა უსაქმოდ  
არის?

ძველი საქართველოს დიდებით გატაცებული  
ერთგულიდ „აპრადალებს“ ადგილ-მამულს ქართვე-  
ლი ხალხის კეთილ-დღეობისათვის!

აი სომხის ბურუუაზია! ერთგულიდ სკლილობს  
ტერიტორიის შეძენას ქართველი ხალხის ვიწრო  
კარმიდამოში და ამავე დროს ძმობა-ერთობას ვე-  
ქალაგებს.

აი საგლეხო ბანკი და უცხოელები! ნელა-  
ნელა აცლიან ხელიდან ჩვენს ხალხს არსებობის  
ერთ უმთავრეს საშუალებას - მიწას.

და ამავე დროს გლეხის ზოგიერთი მევობარი  
ცინიურად გაიძახის: არ ვესმით, ბატონებო, კა-  
პიტალიზმი ვითარდება და მიწაკ ბაზარზე გამო-  
ტანებო.

ამ დღეებში „სახალხო გაზ“, „ში ეწერა, თვალ-  
აზნაურობის ერთ ჯვეფს განუზრიახავს მამულის ნა-  
წილი უცხოელ კაპიტალისტებს მიჰყიდოს, რომ ამ  
ფულით დარჩენილ ნაწილს მოუაროს.

როგორ არა!

როდის იყო, რომ თავად აზნაურობა მამულს  
აუმჯობესებდა?

ბანკშიაც ხომ იმიტომ აგირივებდნენ მამულის  
ნაწილს, რომ დანარჩენი ნაწილი გაეუმჯობესები-  
ნათ.

მერე რამდენი გააუმჯობესეს!

იხლიაც ასე გააუმჯობესებენ უცხოელების ფუ-  
ლით!

მთელი საქართველოს გაყიდვა რომ შეიძლე-  
ბოდეს, განა ჩვენი წარჩინებული წოდება უკან და-  
ისხვეს?

ანკი რად უნდა დაიხიოს, როდესაც ჩვენში  
სირცხვილ-ნამუსიც დაიკარგა და საზოგადო აზრიც  
გაპქრა!

ვინმე ცხვირ-მოუნცელება რომ მოინდომოს  
ჩვენი დამცირება, შეურაცხვიოთა, ასრულებს,  
რადგანაც საზოგადო აზრისა არ ეშინა და დი-  
მიტრი ყიფიანები ჩვენში აღარ არსებოდენ, რომ  
ერის სახელის დასაცავად არაფურსაჭრებულიდონ.

აიღეთ გერმანია ან საფრანგეთი. მთელი ერი,  
რომ ვინმემ შეურაცხვიოს, შეუძლებელია, რომ მუ-  
შა და ბურუუა, გლეხი და იუნკერი, მონარქისტი,  
რესპუბლიკინელი და სოციალისტი უველა ერთ-  
ნაირად არ ააღელვოს და არ ააღშფოთოს ამგვარ-  
ში შემთხვევამ. საერთო აღელვებას კი მოჰყვება სა-  
ზუგადო აზრის მძლავრი გრგვინვა.

ჩვენში ამგვარი რამ შეუძლებელია. ჩვენში  
ერთი რომ სტიროდეს, მეორე იცინის და არა თუ  
იცინის მხოლოდ, დასცინის კიდეც: ახია შენზე,  
იგრე მოგიხდებათ.

ასეთ პირობებში საზოგადო აზრის ახმაურება  
შეუძლებელია.

ამიტომ ყოველგვარი სიმახინჯე ლალობს და  
ნავარდობს.

მაწა ბაზარზე გამოვიდათ, ვისაც ფული მეტი  
აქვს, ის ყიდულობსო, ვისმის ერთის მხრიდან  
უდარდელი კილოთი.

— ქართველ ხალხს ტერიტორია ეყარგებათ,  
ისმის გოდება ერთგან.

— ქართველ ხალხს სადა იქვს ტერიტორიათ,  
— გაიძახიან სხვები ბრძნელის თავმოწონებით.

საზოგადო აზრი რომ იყოს ჩვენში, მაშინ  
ტერიტორიის საკითხის გარშემო აღარ იქნებოდა  
ამდენი კამათი.

ორჯერ-ორი ოთხია ყველა პარტიისათვის და  
უკველგვარი რწმენის ადამიანისათვ-ს.

ტერიტორია რომ აუცილებლიდ საჭიროა  
ერის ასებობისა და წინმსვლელობისათვის, ეს  
უკველგან ცხადია ყველასათვის. ჩვენში კი სადაო  
საკითხად გადაქცეულა!

ჩვენში რომ საზოგადო აზრი არსებობდეს, გა-  
ნა ამ სამარცხინო და ქვეყნის დამღუპველ ვაჭრო-  
ბას ჩვენი ხალხის მიწა-წყლით აქამდინ ბოლო არ  
შეიღებოდა?

სად არის საერთო, საზოგადო აღშფოთება,  
საზოგადო აზრის გუგუნი?

სად იქნება ან როგორ გაჩნდება, როცა ერ-  
თი გაიძახის: სადა გვაქვს ტერიტორიათ, მეორე  
ჭყაფს გვასწავლის: კაპიტალიზმი და მიწა ბაზარზე  
გამოდისო, და სხვ. და სხვ.

ეურნალ-გაზეთებში და ზოგიერთ წრეებში და-

უსრულებელი ლაპარაკია, წარჩინებული წოდება კი განაგრძიბს თვის საქმეს — ადგილ-მამულის განიავებას. ასეთ პირობებში ვინ უნდა იხსნას ჩვენი ქვეყანა განსაკუდელისაგან? ისევ იმან, ვინც ცეცხლისა და აღულებულ რკინაში გინარა და საქართველო და ქართველი ერის არსებობა თვისი დალოცვილი მაჯით გადაარჩინა.

ეს არის ქართველი მშრომელი ხარისხი.

ვისთვის არის საქირო საქართველოს მიწა-წყალი?

მისთვის, ვინც ამ მიწა-წყალს თვისის ოფლი-თა რწყავს და ანოუკერებს.

ეს არის ქართველი გლეხი.

როდესაც სხვები — გარეულებიცა და შინაურებიც საქართველოს ანალეგურებდნენ, ქართველი ერის ვინაობა მან გადაარჩინა.

დღეს, როდესაც გარეული და შინაური საქართველოს ტერიტორიას ანალეგურებს, ჩვენმა გლეხმავე უნდა გადაარჩინოს ეს მიწა-წყალი.

ქართლი, კახეთი, იმერეთი, შავი ზღვის პირი — ყველა ჩაენი სამშობლოა. რაჭა რომ თავის ფარგლებს ირა სკილდება, გურული თავისას და სხვ. ეს შემცდარი აზრია და მავნებელი მიმართულება. რაჭაში, ზემო იმერეთში, საშინელი სივიწროვეა მიწისა. ქართლში, განსაკუთრებით კახეთში შედარებით უფრო მეტია რაჭველი და ზემო იმერელი ქართლ-კახეთის ჰავას ადვილად ეგუება. ამიტომ რაჭველები და ზემო იმერლები უსათუოდ უნდა მოაწვენ ქართლ-კახეთს და არც ერთი თავისუფალი ადგილი არ უნდა გაუშვან ხელიდან.

კახეთი იმერლებშია უკვე რამდენიმე სოფელი გააშენეს.

ამათ მაგალითს უნდა წიპაპონ სხვებმაც.

გურია-სამეგრელოშიაც ამგვარივე სივიწროვეა მიწის. სამავიროდ შავი ზღვის პირის მიწა ბევრია, და აქეთ უნდა მიაშერონ გურულებმა და შეგრელებმა, რადგანაც ისინი შავი ზღვის პირის ჰავას ადვილად ეგუებიან.

ის, რაც ერთისაოვის ძნელია და ხშირად შეუძლებელიც, ათისა და ასისათვის ადვილია და შესაძლებელი.

ერთისათვის ძნელია დიდი ადგილის ყიდვა, რამდენიმე რომ მოიყრის თავს, საქმეც ადვილდება.

სწავ უქ არის და არა ჩვენს დაუსრულებელს ლაპარაკში. რაც უფრო თავგამოდებით დაადგება ამ გზის ჩვენი ხალხი და გასწევს ჩქარის ნაბიჯით, მით უმჯობესია.

მაშინ აღსდგება და აუვავდება ის, ვის შესხე-ბაც ჩვენმა აკავიშ წიპოსთქვა:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებსო. (თემი)

ი. გომართველი.  
კართველი და საქართველო

## ნ ა რ ე ბ ი

დაგვიანებული პასუხი: ჩვენი ქურნალის შეთათხებულები ნოტერში დაბეჭდილი გვქონდა რომ ბაბას შევენიერი არავი „შეუდო ვირი“. ვინ და რა იგულისხმებოდა ამ არავი, მკონი ბავშვიც გაიგება, რადგან ამის გასაგებად, ტბაც რომ შემოღება დამასხს, — პირდაპირ ცხადათ ეწერა: „ვი. მაშედა საუკარელო, ამ არავის ხსენებაზე ნეტა შენ რად მაგრადები?“

მაგრამ ვიდაც ბ-ნი „ჩვენ“, რომელიც „სახალხო კასეთის“ ფურცლებზე აგრ რამდენი ხანია უჩიტოდა უკბილი „წვაპურტებს“ სწერს — ამ არავი შეტან განურისხებია; ისე გაბრაზებულია, თითქო არავის სახელი თავისად მაედოს და ამ რა დაუწერია: „აგდები“ ასეთი მარგალიტია დაბეჭდილი, რომელიც უცვლელად მოგვუავს:» ქვემოდ მოუკანადია მართლაც და მარგალიტი არავი რომ ბაბასი (ვისც მიუწვდება გრძება, რა საჭიროებია) და შემდეგ ჰერიოსური ლექსი:

კო, „კლდეთ“, უბადრუებო  
გადააჭეპ „ბაბას“ ვის  
მასევ სთხოვე მოსაზრება  
ის გასესხებს ცოტა ტვინსა,  
მის ურთევაზე შეეცემი  
საფიფობას, (?) უცხო დახისა,  
და შენისთანა უკუდო  
ღირსი არის მათრახისა.


ბ-ნი „ჩვენ“, როგორც უველა კერძო შირი, შესაძლებელია უაველთვის შესრულება და „ზაკ. რეჩისკან“ წოდებული სახელი სახალხოებისა (იმის შემდეგ, როცა უკანასკნედებმა „ფირზე შესვეს“ „ზაკ. რეჩის“ წარმომადგენელები) თავისად მიიჩნიოს, ამით გაბრაზდეს კადეც, მაგრამ რედაქცია რა მოსაზრებით ბეჭდავდა ასეთს..... ჩვენ უკ გაგიგთა; ამიტომ მოწინებით თას რასმე ვითხოვთ ბატონ „ჩვენის“ და „სახალხოსაგან“, — აგვისხნან: 1) როგორ ესმით „რაუიფობა“, როგორც „დხინის“, შინაგარი? და 2) რამ გააჭარა ისე, რომ უზრდელთბისობა ერთად ისეთს უტარებასაც იჩენს?

რაც.

## რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

კოვენტიული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. განეთის ფასი: ერთი წლით — 7 ბან. ნახევარი წლით 4 ბან. ერთი თვით — 80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

**აღმუში:** Кутаистъ, редакція газ. „Имерети“.

კოველი სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და სახელმწიფო მინისტრის სურათების კურნალი

უურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. უურნალში ითანამშრომლები ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკასნი, ლრამატურგნი, მკოსანნი, და მხატვარ-ხელოფანნი.

უურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დაპლევამდე – 4 მ.) ნახევარი წლით 3 შან. ცალკე  
ნომირი ორი შათრი. ფულის გაღახვა ნაწილა-ნაწილა შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორიპ-ნის“ სტუდიაში).

1894 წლიდან

—  
—  
—

1914 წლამდის

საქართველოს კვიბობრივი ინტერესების მიზანის და მიზანური მიმღებების გადასახვა

# საქონლები „ვახა ი ი“-სა

თელეფონი:

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63  
და ერევნის მოედანი.

Հանդիսականություններ: Տախովի, ասեածալի, Ռա՛զբյանովի, Ցուցաբանովի, Տառովի, Հասքովի և այլ.

